



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 492320914

თარიღი:28/07/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 106

შპს „ტელეკომ I“-სათვის (ს/კ 405374063) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით ოპტიკური ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული გარე განათების ბოძების სარგებლობაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 10 ივლისის №48-48231918 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას თანდართული დანართი #1-ის შესაბამისად, შპს „ტელეკომ I“-სათვის (ს/კ 405374063) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით ოპტიკური ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული გარე განათების ბოძების სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს შპს „ტელეკომ I“-სათვის (ს/კ (405374063) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით ოპტიკური ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული გარე განათების ბოძების სარგებლობაში გადაცემის შესახებ (დანართი #1 თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 28 ივლისის №106 განკარგულების
დანართი №1

№	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	საკადასტრო კოდი
1	2	3	4
1	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ გეგუთი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 80.0 ერთეული გარე განათების ბოძი	29.00.272
2	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.305
3	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 44.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.306
4	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.307
5	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 53.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.308
6	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 71.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.309
7	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 11.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.310